№2700 2015 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №2378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №2378 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო

კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ, „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის „ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის“ კომპონენტის ფარგლებში, 25 001 (ოცდახუთი ათას ერთი) გრამი მეთადონის ჰიდროქლორიდის (აქტიური ნივთიერება - „მეთადონი“) შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამისათვის (პროგრამული კოდი - 35 03 02 10) გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**